ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 61 (18903) შაბათი, 10 მარტი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის კონსტიტუციის 124-ე მუხლის საფუძველზე ადგენს:

მოწვეულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია 1984 წლის 11 აპრილს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 7 მარტი.

იური გაგარინი

ერთი მონატრებაც

იური გაგარინის ხსოვნას

ის ხარკე გაგიბზარია,
მთვარე გამოზნერს დაფნიდან,
ვის ენატრება ძალიან, —
ვისაც ახსოვხარ აკვნიდან,
თუ მას, ვინც შენი ცალია;
ან ვინც გაგიცნო აფრითა;

ეს მართლა თანამგზავრია,
თუ შენი სული აფრინდა?!
თუ დარეკილი ზარია
მზის უხილავი ძაფითა?
ვის ენატრება. ძალიან,
ციდან ვინ ელის დაფითა?

— მოსკოვს თუ კოსმოსს,
მეგობარს,
თუ მიწას, ძუძუმტევნისას?!
მე ქვეყნად ისიც მეყოფა —
ხელი ჩამომირთმევია.
და დამრჩა დაუვიწყარი,
როგორც ხანჯალი ვერცხლითა.
ზეცა მიწით, მიწაო,
მიწაო — კიდე ზეცითა.
„ლომილის ბიჭო", სადა ხარ,
ხათი აიგე საყდარი,
ქართველი იტყვის: ხმალდახმალ,
მტერს არ ენდვნო წამხდარი.
დამესიზმრები ხანდისან,
სიზმრად სიზმარი ამხედრი
და ბრწყინავს სიზმრის გადაღმა
შენი რუხული ზამთარი.
დამესიზმრები ხანდახან —
ელვასა ჰგავხარ ცისასა,
ლომილის ბიჭო, სადა ხარ,
ვაჰ, დედას კაი ემისასა.
ეს მართლა თანამგზავრია,
თუ შენი სული აფრინდა?!
თუ დარეკილი ზარია —
მზის უხილავი ძაფითა?!
წუთისოფლისა წირვითა,
მზე ჩავა, მთვარე ამოვა,
ბიჭი გაგარინივითა
ათასში ერთი გამოვა.

ჯანსუღ ჩარკვიანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოში

ადგილობრივი საბჭოების შეჯიბრების გამარჯვებულნი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ განიხილეს 1983 წლის სახალხო დეპუტატთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

შეჯიბრებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, ხელმძღვანელობდნენ რა სკპ XXVI ყრილობის, სკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, შარშან ახალ წარმატებებს მიაღწიეს სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმების შესრულებაში, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების, დასახლებული პუნქტების და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში.

1983 წლის შეჯიბრების შედეგების მიხედვით პირველი ადგილი, გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიენიჭათ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს:

გორის რაიონის სოფელ სკრის (თავმჯდომარე — ამხ. ქურდიუმოვი), ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარის (თავმჯდომარე — ამხ. შენგელია) და ბოლნისის რაიონის სოფელ არუხლოს (თავმჯდომარე — ამხ. სეიდოვი).

მეორე ადგილი და მეორე ფულადი პრემია მიენიჭათ სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომებს:

გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდის (თავმჯდომარე — ამხ. მოსულიშვილი) ახალქალაქის რაიონის სოფელ არაქვის (თავმჯდომარე — ამხ. სევიკიანი), გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელის (თავმჯდომარე — ამხ. გლოველი).

მესამე ადგილისა და მესამე ფულადი პრემიის მფლობელნი გახდნენ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები:

გეგეჭკორის რაიონის სოფელ კურზუს (თავმჯდომარე — ამხ. [illegible]

[illegible]

ხობის რაიონის სოფელ [illegible] დაბა ზნაურის (თავმჯდომარე — ამხ. ნადირაძე).

[illegible] სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომების კარგი მუშაობა: [illegible]

[illegible] სათვის. (საქინფორმი).

საეტაპო მნიშვნელობის დოკუმენტი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტში — სკპ ცენტრალური [illegible]

[illegible]

იზრდება გაგარინელთა თაობა

მოსკოვის მშრომელთა და დედაქალაქის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების საზეიმო საღამო

კაცობრიობის ისტორიაში კოსმოსური ერის დაწყება განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოეთის მოქალაქის, კომუნისტ იური ალექსის ძე გაგარინის სახელთან. საბჭოთა ხალხის ერთგულმა შვილმა გაგარინმა პირველმა დაძლია დედამიწის მიზიდულობა და კოსმოსური სივრცის გზა გაკვალა.

9 მარტს დაბადების 50 წელი შეუსრულდა კოსმოსის პირველმკვლევს. ამ თარიღს მიეძღვნა მოსკოვის მშრომელთა და დედა[illegible]

[illegible]

დღეს ნომერში:

- ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების სანიმუშო თემატიკა ამომრჩევლებთან შეხვედრისას ამხ. კ. უ. ჩერნენკოს მიერ წარმოთქმული სიტყვის მიხედვით. (მე-2 გვ.);
- იური გაგარინის დაბადების 50 წლისთავი. (1-ლი და მე-2 გვ.);
- პირველი საბჭოთა კოსმონავტისადმი მიძღვნილ ლექსთან ერთად პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა გაზეთისათვის ეს გახსენება და ფოტოსურათიც შემოგვთავაზა.

გახსენება

იური გაგარინი, ჩვენი სამშობლოს პირველი კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, დღეს, ცხრა მარტს, ორმოცდაათი წლის გახდებოდა. ჩემი თაობის კაცს, ვისაც უნდა ჰკითხო, იური გაგარინს თუ იცნობდით, რა თქმა უნდა, გიპასუხებენ. მეც ვიცნობდი იური გაგარინს, ორჯერ შევხვედროვარ კიდევაც.

1962 წელია, მოსკოვში სრულიად საკავშირო ალკკ ყრილობაა, შესვენებაზე დარბაზის ერთ კუთხეში რიგი დგას როიალთან, რიგი კი არა — ორომტრიალი. [illegible]

[illegible]

- საკვდისს განსხვავებ. საერთაშორისო ცხოვრების ქრონიკა. (მე-3 გვ.);
- დღეს იხსნება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. (მე-4 გვ.).

პირველი კოსმონავტის სამშობლოში

გაგარინი, (სმოლენსკის ოლქი, სპეციალური კორ.). იური გაგარინის მამაცობის, სიბრძნისა და სიკეთის სათავეები მის სამშობლოშია. მის მთელ ქვეყანაში მრავალი მეგობარი ჰყავს, მაგრამ პირველი, ყველაზე ახლობელი მეგობრები აქ ცხოვრობენ. კოსმოსის პირველმკვლევის ხსოვნა მთელი ქალაქობრივ[illegible]

[illegible]

იური გაგარინი

დაბადებიდან 50 წლისთავის გამო

ღიმილის რაინდი

საქართველოში არის სახელი მზეჭაბუკი, ახლა იშვიათად არქმევენ ამ სახელს — პრეტენზიული ჩანს, ბევრის მომთხოვნი. არადა, რა მოუხდებოდა გაგარინს! ზედგამოჭრილი მზეჭაბუკია. ეგზიუპერი რომ ამბობს, „ჩვენ ყველა ჩვენი ბავშვობიდან მოვედითო", — მართალია. მხოლოდ ეს მზეჭაბუკი იყო ვარსკვლავებიდან ჩამოსული უფლისწული თავისი საკუთარი პლანეტით, საკუთარი მსოფლმხედველობითა და დამოკიდებულებით...

აპრილის იმ მზიან დილას 1961 წელს კოსმოდრომზე, რომ მავიდა, მზეს შესცინა თურმე და წამოიძახა:

— რა სიცოცხლით სავსე მზეაო! ბავშვის ალალმართლობით დანახული და მართლაც ეგზიუპერის გულწრფელობითაა ნათქვამი. უამისოდ ეს ფრაზა ისევე გაუგებარია, როგორც პატარა უფლისწულის ნათქვამი: მე, ერთხელ, ერთ დღეში ორმოცდასამჯერ ვნახე მზის ჩასვლაო!

...ღიმილის ბიჭი ვიყავი, ბეჭზე არწივი მეხატა! — გაგარინის გამოჩენამდე დაწერილა ეს სტრიქონებიც მასზეა ზედგამოჭრილი. სურათი ვნახე ერთი, იცინოდა, „გაგარინის ღიმილით" ეწერა. ძალიან მომხიბვლელი ღიმილი ქონდა, ხასხასა, ჩვილივით გულწრფელი.

ასეთი იყო გაგარინი.

ადამიანს ჩიტმა ასწავლა ფრენა, ფრენის სიხარულის განცდაც, ალბათ, ჩიტმა უწილადა, რაღაც ალტაცებაზე და სიხარულზე მეტი...

ის ფრინავდა იმიტომ, რომ არ შეეძლო არ ეფრინა, ფრენა მისი სტიქია იყო. ზეცაში უფრო მასპინძელი იყო, მიწაზე — უფრო სტუმარი...

ბავშვობაში ყველას გვინდა გავხდეთ მფრინავი, მაგრამ მხოლოდ ის აღწევს მიზანს, ვინც ახერხებს დიდობაში შეინახოს ბავშვობა. იქ, სადაც ყველა კანონი სიყვარულისა და გულწრფელობის ენით არის დაწერილი, სხვა ენაზე არ ითარგმნება, გაუგებარია!

თვითონ ამბობდა, რომ ბავშვობაში ომი გადაიტანა და ფაშისტების სიმხეცე განიცადა, მერე სწავლობდა და კითხულობდა, ბევრს და გატაცებით კითხულობდა ეს სიყვარულისა და სიხარულისათვის გაჩენილი კაცი. მახსოვს, რა გვესიამოვნა გაგარინმა რომ თქვა: ილიკო მენაბდის ლექსები მიყვარს, კარგი პოეტია ილიკო მენაბდეო!

წამოდი ჩემთან, არ არის ცუდი, ლექსები გითხრა, რაზ შეგადარო —

დაგიწნა თეთრი ზამბახის ქუდი, ჩემო პატარა დედფულა ქალო!

ერთხელ ჟურნალ „სმენის" კორესპონდენტმა ჰკითხა, როგორია კოსმოსიო, გაგარინმა უპასუხა:

— მე დავინახე რერიხის ცა! რერიხის ზღაპრული პეიზაჟები, მისი საოცარი ფერთა მეტყველება, ხშირად გამოგონილი რომ გვეგონა ჩვენ, დედამიწელებს, იქ კოსმოსში თურმე ცხადი და რეალურია.

გაგარინის წიგნში „გზა კოსმოსში" უბრალოდ გამოსჭვივის ერთი ის, რომ მის უბრალოებაშია მისი სიდიდე, და მერე ის, რომ არა გულწრფელს, არამართალს ვერ შეისწრებ ვერსად, ვერასდროს. — და, რა თქმა უნდა, საოცარი სიყვარული და პატივისცემა ჩვენი კოსმონავტიკის სულისჩამდგმელის კოროლიოვისადმი — ეს გასაგებიცაა, მაგრამ ალბათ ყველა სიტყვა უძლურია გამოხატოს, როგორ უყვარდა თვითონ კოროლიოვს გაგარინი — პირველი კოსმონავტი, მისი ნათელი გონების პირმშო...

ასეთი იყო იური გაგარინი.

შვილი, მამა, მეუღლე, მეგობარი, პიროვნება, მჭვრეტი კოსმოსის ბინადარი. იური გაგარინი იყო პირველი კაცი, რომელმაც თავისი თვალით დაინახა დედამიწა, გაკვეთილზე მასწავლებლები აღარ ამტკიცებენ რომ დედამიწა მრგვალია. ცნობილი გემის ანძის მოახლოების მაგალითიც ხომ ისტორიას ჩაბარდა.

...კაცობრიობის ისტორია სავსეა პირველაღმომჩენთა სახელებით. კოლუმბი, მაგელანი და რა ვიცი, კიდევ ვინ, მაგრამ გაგარინამდე არასდროს, არავის არ გაუკეთებია ნახტომი ზეცის მიღმა...

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მასალები ამას უამბობენ მკითხველს.

წერენ პოეტები მასზე ლექსებს, მწერლები — წიგნებს, მხატვრები — ტილოებს, კომპოზიტორები სიმღერებს... და ეს ასე იქნება ყოველთვის.

მის სავალალო წასვლას ამქვეყნიდან ახლავს სამუდამო დარდი და ერთი უცნაური ფიქრი: შეიძლებოდა კი იური გაგარინის სიბერე?..

ან იმ განუმეორებელი ღიმილის შეცვლა შეიძლებოდა?

...ის მუდამ ასეთი იქნება, ასეთი მზეჭაბუკი, ვარსკვლავივით მუდამ მოციმციმე... მოგონებაში, მზეში და სიყვარულში დარჩება ეს „ღიმილის რაინდი" სამუდამოდ...

რეზო დვალიშვილი.

გმირობა, რომელიც მთელ კაცობრიობას ეკუთვნის

...

— როგორ არის საქმეები, ამხანაგო სპორტის კომისარო?

ი. ბორისენკომ იცნობა, რომ პლანეტის პირველმა კოსმონავტმა მსოფლიოს სამი აბსოლუტური რეკორდი დაამყარა.

— ხუთუ ერთდროულად სამი?

— გილცდი იური და გაცლმა.

იმ დღის შემდეგ თითქმის 23 წელიწადი გავიდა. გაგარინის მიერ გაკვალულ გზაზე უკვე ასზე მეტმა ადამიანმა გაიარა. კოსმოსური რეკორდების წიგნში ჩაწერილია ათობით ახალი რეკორდი. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერასოდეს დაჩრდილავს 1961 წლის 12 აპრილს დამყარებულ რეკორდს, რადგანაც იგი გაგარინთან ერთად ჩვენს ქვეყანასაც ეკუთვნის. იგი სამარადისოდ კაცობრიობას ეკუთვნის.

ვ. ოსტაპოვი.

სურათზე: იური გაგარინი და რაკეტულ-კოსმოსური სისტემების გამოჩენილი კონსტრუქტორი სერგეი კოროლიოვი.

ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.

ეძღვნება პირველ კოსმონავტს

...

დაბადების 50 წლისთავის მომზადებისა და ზეიმის დღეებში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „კოსმოსის" პავილიონში, ავიაციისა და კოსმონავტიკის ცენტრალური სახლის დარბაზებში, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ცენტრალურ მუზეუმში გაიხსნება ექსპოზიციები, რომელთა თემაა საბჭოთა კოსმონავტიკის ისტორია, მისი წვლილი მსოფლიოს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში, კოსმოსის შესაძლებლობათა გამოყენება პლანეტის ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტი აწესებს ი. ა. გაგარინის სახელობის პრიზებს, რომლებიც ყოველწლიურად მიენიჭებათ სპორტში თვალსაჩინო მიღწევებისათვის საბჭოთა და უცხოელ სპორტსმენებს.

სსრ კავშირის კოსმონავტიკის ფედერაციამ დააწესა ი. ა. გაგარინის მედალი.

ა. რომანოვი,

(საკუთარი კორ.).

კოსმოსში გაფრენამდე

ექვსი წლით ადრე

წიგნში „გზა კოსმოსში", ი. ა. გაგარინი გატაცებით, სიხარულით ილტკინებული იგონებს თავის პირველ დამოუკიდებელ ფრენას სარატოვის აეროკლუბში ძველი „იაკ-18" სასწავლო თვითმფრინავით.

მეორე დღეს ამხანაგები მეუბნებოდნენ...

...

აი კოსმონავტის ეს კითხვები:

— რასთან დაკავშირებით და როდის დაწერეთ ინფორმაცია ჩემზე?

— როგორ მოხდა, მე არ ვიცოდი, რომ ფოტოსურათის წაღებდით და გაზეთისათვის ჩემზე წერდით?

...

ი. ივანოვი.

ასეთი გვახსოვს...

ერთად ამ ჯგუფში ჩარიცხული იყვნენ სხვა კოსმონავტებიც, რომლებიც შემდეგ „სოიუზის" ...

ამ პერიოდში იური გაგარინი როგორც მოსამზადებელი ცენტრის უფროსის მოადგილე...

...

პარტია და ხალხი ერთნი არიან

...

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგები პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ნათელი დადასტურებაა.

...

საქმის წამომწყები და დამაგვირგვინებელი ადამიანია.

ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა პარტიისა და სახელმწიფოს მტკიცე გზაა.

სკოლის რეფორმის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ნამდვილი საბჭოთა დემოკრატიის თვალსაჩინო მაგალითია.

ახალგაზრდობის შრომითი აღზრდა საბჭოთა საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

გამოვუმუშაოთ ახალგაზრდებს პასუხისმგებლობა ქვეყნის, სოციალიზმისა და მშვიდობის ბედისათვის.

სახელმწიფო საქმეების მართვაში მშრომელთა ფართო ჩაბმა საბჭოების მუშაობის ახალ წარმატებათა საწინდარია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლის ზრდა პარტიული და საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის საჯაროობის უზრუნველყოფაში.

ყველა საქმეში მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრება ახალ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია.

ხელმძღვანელის თანამდებობრივი და პირადი ავტორიტეტი.

საბჭოთა დემოკრატია მოქმედი, ცოცხალი დემოკრატიაა.

მშვიდობის დაცვა, ჩვენი სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა.

...

კურსი მთავარი დაბრკოლებაა საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების გზაზე.

საბჭოთა კავშირი ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების ბურჯია.

მოძმე სოციალისტური ქვეყნების შეკავშირების განმტკიცება საერთაშორისო უშიშროების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

სსრ კავშირი სოციალისტური კუბის საიმედო მოკავშირეა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაცია საბჭოთა საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრულ კურსს შეადგენს.

სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევა დაძაბულობის შენელების ცხოველმყოფელობის დადასტურებაა.

გამალებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საკვანძო პრობლემაა.

საბჭოთა კავშირი ყველა სახეობის ბირთვული იარაღის აკრძალვისა და მოსპობის მტკიცე მომხრეა.

საბჭოთა წინადადებანი ბირთვულ სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმების შესახებ.

საბჭოთა ადამიანების დაძაბული შემოქმედებითი შრომა სამშობლოს ძლიერების საფუძველია.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება 1984 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

წარმატებით გამოვაზამთროთ პირუტყვი.

ორგანიზებულად მოვაწყოთ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები.

კალენდარზე გაზაფხულია

„მახე" ნიაღვრისათვის

გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანის კოლმეურნეობას სარწყავი ფართობების ერთიორად გადიდებაში ხელი შეუწყო ნიაღვრების უნარიანმა გამოყენებამ. ხანრობი წყლით ივსებენ ხელოვნურ ტბას, რომელიც აქ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სახსრებით ააგეს. წლევანდელ სეზონში წყალი განსაკუთრებით ბევრია: ამაზე თებერვალმა „იზრუნა" უხვთოვლიანობით.

ასეთი ტბების მშენებლობა დიდ სახსრებს არ მოითხოვს, სამაგიეროდ საგრძნობ სარგებლობას იძლევა. მაგალითად, ახალქალაქის რაიონში, სადაც პირველებმა აითვისეს ეს მეთოდი, მარშან, უკიდურესად რთული ამინდის პირობებში, მისი მეობებით მარცვლეულის, კარტოფილის, საკვები, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი მოიწიეს.

მიმდინარე განაზაფხულისათვის ახალი წყალსაცავები ააგეს აგრეთვე სიღნაღის, თელავის, წითე-

ხელმძღვანელი კადრების სწავლება

9 მარტი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

საკდესი იუწყება

„საერთო ბაზარი":

გადაუჭრელ პრობლემათა ტყვეობაში

აშშ

ხელმოწერის შეგროვების კამპანია

თურქეთი

წერილები რატიფიცირებულია

„ჯოჯოხეთური" ალიანსი

აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის სხის რეზოლუცია

საქართველოს საერთაშორისო კონტაქტები

მაროკოელი სტუმრები

ხელს შეუწყობს დაახლოებას

შვედებს აინტერესებთ

ფოტოფაქტი

იტალია:

იბრძვიან უფლებებისათვის

საკდესის განცხადება

შალვა მშველიძე

«ალამისი»—თავწყარო და მესაქირკეთე

„ᲒᲐᲜᲘᲠᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲛᲔᲠᲓᲝᲜᲔᲑᲘᲗ!..“

ᲐᲮᲚᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲔᲗᲡᲐᲣᲠᲝᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲘᲡ ᲓᲘᲜ

ᲨᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲖᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲛᲔᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲖᲘᲙᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ ᲑᲝᲚᲝᲜᲓᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ „ᲛᲔᲤᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ. ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲔᲠᲗᲝ ᲛᲐᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲔᲠᲗᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲔᲠᲗᲝ ᲛᲐᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲔ